ოქმი:**ო37. 37232979**
თარიღი:**24/10/2023**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლევან კილაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2023 წელი,18 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები,მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძე ,საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. დ. დარჩიამ ლევან კილაძე დაახასიათა, როგორც საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი. იგი საკრებულოში არის „ფრაქცია ქართული- ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე. თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან,ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა ლევან კილაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, სოციალურ პროგრამებზე. საკრებულოს წევრის მიერ ინიციირებული საკითხებიდან აღსანიშნავია: ქალაქ ოზურგეთისა და სოფ. მელექედურის დამაკავშირებელი გზის პროექტი, განახლებადი ენერგეტიკისა და კლიმატის

ცვლილებების სამოქმედო გეგმის პროექტი.თენიეშვილის ქუჩაზე წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია.ქ. ოზურგეთში თამარ მეფის მოედანზე სახელმწიფო სიმბოლიკის და-საქართველოს ეროვნული დროშის აღმართვის პროექტი. ლევან კილაძემ ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე და ასევე ისაუბრა მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული საქმიანობის შესახებ

ლევან კილაძეს გიორგი ღურჯუმელიძემ მიმართა კითხვით:თუ წინა მოწვევის საკრებულოს წევრობის დროს სოფ. მელექედურის მოსახლეობა მოგმართავდათ დახმარების მიზნით, ამ მოწვევის საკრებულოს წევრობის შემთხვევაში არის თუ არა სხვა უბნის ამომრჩევლებისგან დახმარების მოთხოვნით მომართვა? ლ. კილაძემ აღნიშნა, რომ მას ხშირად მიმართავენ როგორც ქალაქის უბნის ამომრჩევლები, ასევე სოფლის ამომრჩევლებიც, რომელთაც უწევს შესაბამის დახმარებას აღმასრულებლის თუ სათანადო ორგანოების ჩართულობით

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. საკრებულოს წევრის ლევან კილაძის საქმიანობა შეფასებულია დადებითად და უსურვეს მას წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად შეესაბამება რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიშიშეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი